ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სხდომისა

ქ. ხობი

2018 წლის 5 ივლისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ედიშერ ჯობავა - საბჭოს თავმჯდომარე
2. დოდო გაბუნია - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
3. ლელა შამათავა - საბჭოს მდივანი
4. მახარე ჩოკორაია - საბჭოს წევრი
5. თამუნა სიჭინავა - საბჭოს წევრი
6. გვანცა კიკალიშვილი - საბჭოს წევრი

სხდომას თავმჯდომარეობდა ე. ჯობავა - საბჭოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის განხილვა.

(მომხსენებელი: ლ. შამათავა - საბჭოს მდივანი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის განხილვა.

(მომხსენებელი: ლ. შამათავა - საბჭოს მდივანი)

მოისმინეს: დ. გაბუნია - მომხსენებელმა საბჭოს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, რომ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მხარდაჭერით. გეგმით გაწერილია კანონით გათვალისწინებული ის აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს მუნიციპალიტეტის მხრიდან გენდერულ ჭრილში, გეგმით დადგენილ პერიოდში. პროექტი ფინანსური თვალსაზრისით შეთანხმებულია მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან და შემოვიდა წინადადებით ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა წარედგინოს ხობის

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს გამოეთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით

აზრი გამოთქვეს: დ. გაბუნია - სამოქმედო გეგმის პროექტის წინასწარი განხილვისას, სრულად იქნა გაზიარებული საბჭოს წევრების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები, რაც გვაფიქრებინებს რომ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი გეგმა იქნება წარდგენილი საკრებულოზე დასამტკიცებლად.

თ. სიჭინავა - საბჭომ მაქსიმალურად უნდა იმუშაოს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებისთვის და ამისთვის აუცილებელია მათთან შეხვედრების გამართვა.

ე. ჯობავა - აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთათვის გათვალისწინებულია ერთჯერადი დახმარება, თუმცა მუნიციპალიტეტის მხრიდან უფრო მეტის გაკეთებაა შესაძლებელი ამ კუთხით და ვფიქრობ, შევძლებთ გეგმის შესაბამისად ეს განვახორციელოთ ეტაპობრივად.

კენჭი ეყარა წინადადებას ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის საკრებულოს სხდომაზე წარდგენის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა განკარგულების სახით წარედგინოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა